დანართი N1

ონის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ონის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭო (შემდგომში-საბჭო) წარმოადგენს ონის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს, რომელიც თავისი საქმიანობას წარმართავს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
2. საბჭოს საქმიანობა ეფუძნება მოხალისეობის, თანასწორობის, გამჭვირვალობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის პრინციპებს.
3. ეს დებულება განსაზღვრავს ახალგაზრდული საბჭოს მიზანს, უფლებამოსილებას და სტრუქტურას, მისი შექმნის წესს, უფლება-მოვალეობებს, მუშაობის ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს.

მუხლი 2. მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს მიზანი.

1.ახალგაზრდული საბჭოს მიზანია:

- ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფა.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების იდენტიფიცირება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის რეკომენდაციების მომზადება ახალგაზრდულ პოლიტიკასთან დაკავშირებით;
- ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და მათი ჩართულობის ხელშეწყობა.

2. ამ მიზნის მისაღწევად ახალგაზრდული საბჭო:

ა) მონაწილეობს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში.

ბ) მონაწილეობს მუნიციპალიტეტის მერისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების პროგრამების დაგეგმვაში, მონიტორინგსა და შეფასებაში, რომლებიც ეხებათ ახალგაზრდებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს მათი გაუმჯობესების მიზნით.

გ) მონაწილეობს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესში და მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის განხორციელებაში.

დ) შეისწავლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებებსა და ინტერესებს, შეიმუშავებს შესაბამის წინადადებებს და რეკომენდაციებს მათი უზრუნველყოფის მიზნით.

ე) ახდენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმირებას მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ.

ვ) ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმურებულობისა და ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა სფეროებში.

მუხლი 3. ახალგაზრდული საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები.

ახალგაზრული საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ა) საჯაროობა;

ბ) კოლეგიურობა;

გ) კანონიერება;

დ) ახალგაზრდების აზრის გათვალისწინება;

ე) ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა;

ვ) ანგარიშვალდებულება ახალგაზრდების წინაშე;

ზ) გამჭვირვალობა;

თ) თანასწორობა;

ი) მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება;

მუხლი 4. მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა.

1. მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭო შედგება 15 წევრისაგან.
2. ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს წევრი შეიძლება იყოს 14-29 წლის ახალგაზრდა,რომელიც არის საქართველოს მოქალაქე და რეგისტრირებულია ონის მუნიციპალიტეტში.
3. მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს ონის მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 5. მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს წევრი.

1. ახალგაზრდული საბჭოს წევრი არის ამ დებულების შესაბამისად არჩეული ახალგაზრდა.
2. მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრი უფლება-მოვალეობებს ახორციელებს უშუალოდ. დაუშვებელია მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრის უფლებამოსილების სხვა პირისთვის გადაცემა.

მუხლი 6. მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა და/ან შეჩერება.

1.მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრის უფლებამოსილება ვადამდე შეწყდება, თუ:

ა) უფლებამოსილება მოეხსნა პირადი განცხადებით;

ბ) მერის ინიციატივით შეიცვალა საბჭოს შემადგენლობა;

გ) სასამართლოს მიერ აღმკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა ან აღკვეთის ისეთი ღონისძიება, რომელიც გამორიცხავს უფლებამოსილების განხორციელებას.

დ) არასაპატიო მიზეზით 6 შეხვედრის მანძილზე არ მონაწილეობდა ახალგაზრდული საბჭოს მუშაობაში, არ ესწრებოდა ახალგაზრდული საბჭოს სხდომებს.

2. მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს წევრს უფლებამოსილება უჩერდება სასამართლოს მიერ ახალგაზრდული საბჭოს წევრისთვის ადმინისტრაციული სახდელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შემთხვევაში. უფლებამოსილების შეჩერების ვადა განესაზღვრება ადმინისტრაციული პატიმრობის მოქმედების ვადით.

3. მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა ფორმდება მერის ბრძანებით.

მუხლი 7. ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს წევრის მოვალეობები.

ა) ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე დებულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

ბ) რეგულარულად მოაწყოს შეხვედრები ახალგაზრდებთან და მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეს მათთან;

გ) მონაწილეობა მიიღოს ახალგაზრდული საბჭოს სხდომებსა და მუშაობაში.

დ) არ გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის თავისი უფლებამოსილება და/ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა.

ე) დაიცვას წინამდებარე დებულებით დადგენილი წესები და საზოგადოებაში მიღებული ქცევის სტანდარტები.

მუხლი 8. მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს წევრის უფლებები.

1. დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, საბჭოს წევრს, ასევე გააჩნია დებულებით აღიარებული უფლებები:

ა) საბჭოს სხდომაზე დასვას საკითხი განსახილველად, შეიტანოს წინადადებები საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მონაწილეობა მიიღოს კამათში, შეკითხვა დასვას, მიიღოს და შეაფასოს პასუხები, გააცნოს საბჭოს ახალგაზრდების მოსაზრებები და მიმართვები;

ბ) დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს მერიის სტრუქტურული ერთეულების, საკრებულოს, საკრებულოს კომისიების და სამუშაო ჯგუფის სხდომებსა და შეხვედრებში;

გ) კითხვით მიმართოს მერს, მერიის სტრუქტურულ ერთეულებს, საკრებულოს და საკრებულოს კომისიებს, უშუალო მონაწილეობა მიიღოს მის მიერ დასმული საკითხების განხილვაში, მიიღოს და შეაფასოს გაცემული პასუხები;

დ) დაუყონებლივ მიიღოს და ისარგებლოს ყველა ინფორმაციით, რომლებიც აუცილებელია მისი საქმიანობის განსახორციელებლად, გარდა დებულებით დადგენილი შეზღუდვებისა;

ე) შეუფერხებლად შეხვდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა თანამდებობის პირს.

მუხლი 9. ინტერესთა კონფლიქტი

1. დაუშვებელია რომ მერის ახალგაზრულ მრჩეველთა საბჭოს წევრი:

   ა) ეწეოდეს პოლიტიკურ ან/და საარჩევნო აგიტაციას,მონაწილეობდეეს წინასაარჩევნო კამპანიაში მისი უფლებამოსილების განხორციელებისას და/ან მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრის სტატუსით და სახელით.

   ბ) იღებდეს ანაზღაურებას მისი უფლებამოსილების განხორციელებისას.

   გ)მოქმედებდეს პოლიტიკური სუბიექტის სახელით მისი უფლებამოსილების განხორციელებისას.

   დ) საბჭოს წევრის უფლებამოსილების განცირციელებისას იყენებდეს ისეთ ატრიბუტიკასა თუ სიმბოლიკას,რომლებიც რომელიმე პოლიტიკურ სუბიექტთან ასოცირდება.

მუხლი 10. მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს მუშაობის საერთო წესი.

1. ახალგაზრდული საბჭოს მორიგი სხდომა ტარდება მინიმუმ სამ თვეში ერთხელ და საჭიროებიდან გამომდინარე.
2. მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს მორიგ სხდომას იწვევს საბჭოს თავმჯდომარე.
3. მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება (მიმართვა, შუამდგომლობა, განცხადება, რეკომენდაცია და სხვ.)
4. მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
5. მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა
6. მერის ახალგაზრდული მრჩევეთა სააბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარედგინება მერს და ახალგაზრდულ საკითხებზე პასუხისმგებელ სამსახურს. იმ წევრებს, რომლებსაც ექნებათ განსხვავებული მოსაზრებები მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, მერს წარუდგინონ ალტერნატიული მოსაზრებები.
7. მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ პირს.

8. ახალგაზრდული საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა შეუძლია მუნიციპალიტეტის მერს, ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარეს და ახალგაზრდული საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს.
9. ახალგაზრდული საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ თავმჯდომარისთვის წინადადების წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მოიწვიოს რიგგარეშე სხდომას. თუ ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარე არ მოიწვევს რიგგარეშე სხდომას, ახალგაზრდული საბჭოს უფლებამოსილია შეიკრიბოს და რიგგარეშე სხდომას თავმჯდომარეობს წევრთა მიერ არჩეული პირი.
10. პანდემიის ან სხვა განსაკუთრებული ვითარების არსებობისასა შეკრების გამართვა და გადაწყვეტილების მიღება შეიძლება განხორციელდეს წევრთა დისტანციური დასწრებით, გარდა ამ დებულებით გათვალისწინებული ფარული კენჭისყრით მისარები გადაწყვეტილებისა.

მუხლი 11. მერის ახალგაზრდულ მრჩევეთა საბჭოს თავმჯდომარე და სტრუქტურა.

1. მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან, 2 წლის ვადით ირჩევს ახალგაზრდული საბჭო ფარული კენჭისყრით.
2. მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე:

   ა) ახორციელებს ახალგაზრდული საბჭოს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს;

   ბ) საერთო ხელმძღვანელობას უწევს საბჭოს საქმიანობას და წარმართავს მის მუშაობას;

   გ) განსაზღვრავს, ამზადებს და უძღვება სხდომებზე საკითხების განხილვას;

   დ) უზრუნველყოფს სხდომების ჩატარების პროცედურებისა და რეგლამენტის დაცვას;

   ე) ადგენს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის თანმიმდევრობას;

   ვ) სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

   ზ) უზრუნველყოფს ახალგაზრდული საბჭოსა და საბჭოს წევრთა უფლებების დაცვას;

   თ) ხელს აწერს საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რეკომენდაციებსა და სხდომის ოქმებს.

3. ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია ახალგაზრდული საბჭოს წინაშე.

4. თავმჯდომარე ვალდებულია წელიწადში ერთხელ საბჭოს სხდომას წარუდგინოს გაწეული საქმიანობის წერილობითი ანგარიში.

მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევა ხდება სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

3. თუ მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევნებში 2 ან მეტი კანდიდატი მონაწილეობს და ვერცერთმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა იმართება მეორე ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომელთაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს.
4. მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს თავისი შემადგენლობიდან 2 წლის ვადით ირჩევს ახალგაზრდული საბჭო ფარული კენჭისყრით,სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.
5. მერის ახალგაზრდული საბჭოს თავმდჯფომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ახალგაზრდული საბჭს თავმჯდომარეს.
6. მერის ახალგაზრდულ საბჭოში თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას მისი დავალებით, თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან გადაყენებისას (გადადგომისას) და ეხმარება მას მისი უფლებამოსილებისა და მოვალეობების განხორციელებაში.
7. მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს საბჭოს თავმჯდომარე და/ან მისი მოადგილე.
8. მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის და/ან მიისი მოადგილის თანამდებობიდამ გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით,სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

მუხლი 12. თავმჯდომარის ან/და მოადგილის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები.

1.თავმჯდომარეს ან/და მოადგილეს უფლებამოსილება შეუწყდება:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე.

ბ) საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით გადაყენებულია თავმჯდომარის ან/და მოადგილის პოზიციიდან.

გ) ამოიწურა მისი უფლებამოსილების ვადა.

მუხლი 13. მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს სხდომა

1. მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს სხდომა საჯაროა. ნებისმიერ პირს აქვს უფლება დაესწროს სხდომას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
2. საბჭოს ნებისმიერ წევრს აქვს უფლება, სხდომამდე 2 სამუშაო დღით ადრე შეიტანოს წინადადება დღის წესრიგში საკითხის დამატების შესახებ.
3. საბჭოს სხდომა იწყება წევრთა რეგისტრაციით. სხდომა უფლებამოსილია (კვორუმი), თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
4. სხდომას წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში — თავმჯდომარის მოადგილე.
5. სხდომის თავმჯდომარე სხდომის გახსნისას საბჭოს აცნობს დღის წესრიგს და საკითხების განხილვის თანმიმდევრობას.
6. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს ამ დებულებით დადგენილი წესების დაცვა, აზრის თავისუფალი გამოხატვა და საკითხის სრულყოფილი განხილვა.
7. საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
   ა) მომხსენებლის გამოსვლა;
   ბ) შეკითხვები მომხსენებელთან;
   გ) დებატები განსახილველ საკითხზე;
   დ) მომხსენებლის დასკვნითი სიტყვა;
   ე) განმარტებები, განცხადებები და ინფორმაციის გაზიარება.
8. თუ სხდომის დროს წარმოიშვა უწესრიგობა, რომელიც შეუძლებელს ხდის მუშაობის გაგრძელებას და თავმჯდომარემ ვერ შეძლო მისი აღკვეთა, სხდომა ცხადდება დახურულად და გადაიდება მომდევნო სამუშაო დღისთვის.
9. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით გადაწყვეტს ფარული კენჭისყრის ჩატარებას.
10. საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. ოქმი უნდა მოიცავდეს:
    ა) სხდომის ჩატარების ადგილსა და დროს;
    ბ) დამსწრე და არადამსწრე წევრების ჩამონათვალს;
    გ) განხილვის საგანს (დღის წესრიგი);
    დ)კენჭისყრის შედეგებს;

ე) მიღებული გადაწყვეტილების/რეკომენდაციის ტექსტს.

მუხლი 15. მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს და მისი წევრის ანგარიში.

1. საბჭოს თითოეული წევრი ვალდებულია, წელიწადში ერთხელ მაინც, წარუდგინოს ახალგაზრდებს (საკუთარ სამიზნე ჯგუფს/თემს) წერილობითი ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.
2. ანგარიშის წარდგენის, საჯარო შეხვედრის ჩატარების ზუსტი დროის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ან/და სოციალურ ქსელში, შეხვედრამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
3. საჯარო შეხვედრაზე დამსწრე ახალგაზრდებს აქვთ უფლება დასვან კითხვები, გამოთქვან მოსაზრებები, წარადგინონ ინიციატივები და შეაფასონ საბჭოს საქმიანობა

4. საბჭო კვარტალში ერთხელ (სამ თვეში ერთხელ) წერილობითი ფორმით აწვდის მუნიციპალიტეტის მერს ინფორმაციას შესრულებული სამუშაოსა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ.
5. საბჭო წელიწადში მინიმუმ ორჯერ მართავს საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერთან, სადაც ხდება პრიორიტეტების შეჯერება და ახალგაზრდული ინიციატივების განხილვა.

მუხლი 16. ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა და აზრის შესწავლა

1. საბჭოს მიერ მერისთვის წარდგენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ინიციატივა ან რეკომენდაცია უნდა ეფუძნებოდეს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების წინასწარ შესწავლილ აზრსა და საჭიროებებს.
2. ახალგაზრდების აზრის შესწავლის ფორმებია:

- პირდაპირი გამოკითხვა: როგორც ელექტრონული (ონლაინ პლატფორმების მეშვეობით), ისე ფიზიკური ანკეტირება;
- თემატური კვლევა: კონკრეტული სფეროების (მაგ: განათლება, დასაქმება, გარემოს დაცვა) სიღრმისეული ანალიზი;
- ინტერაქტიული შეხვედრები: „ფოკუს-ჯგუფები“, საჯარო დისკუსიები და გასვლითი შეხვედრები ადმინისტრაციულ ერთეულებში;
- მოქალაქეთა მისაღები: საბჭოს წევრების მიერ ახალგაზრდების ინდივიდუალური მიღება და მათი წინადადებების აღრიცხვა.

მუხლი 17. მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრის ეთიკის ნორმები.

1. მერის ახაკგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს წევრი ვალდებულია:

- კეთილსინდისიერად შეასრულოს ამ დებულებითა და საბჭოს გადაწყვეტილებებით მასზე დაკისრებული მოვალეობები;
- მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომებსა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში;
- დაიცვას სხდომების რეგლამენტი და იყოს პუნქტუალური;
- საქმიანობის განხორციელებისას პატივი სცეს კოლეგებს, მერიის თანამშრომლებსა და სხვა პირებს;
- დაიცვას ეთიკის ნორმები, არ დაუშვას კოლეგებისა და სხვა პირების შეურაცხყოფა ან დისკრიმინაციული მოპყრობა;
- ხელი შეუწყოს საბჭოს ავტორიტეტის ამაღლებასა და დასახული მიზნების მიღწევას;
- იკისროს ვალდებულება წინამდებარე დებულების მოთხოვნების განუხრელ შესრულებაზე.

მუხლი 18. ახალგაზრდული საბჭოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანა.

2. წინადადება დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ შეიძლება მომზადდეს ახალგაზრდული საბჭოს მიერ.
3. გადაწყვეტილება ცვლილებების პროექტის მერისთვის წარდგენის თაობაზე მიიღება საბჭოს სხდომაზე ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.
4. საბჭოს მიერ ინიცირებული ცვლილებები და დამატებები ძალაში შედის და მტკიცდება მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 19. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

1. ახალგაზრდული საბჭოს პირველი (საორგანიზაციო) სხდომა ტარდება ამ დებულების ძალაში შესვლიდან და საბჭოს წევრთა შერჩევიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.
2. საბჭოს პირველი სხდომის დღის წესრიგი სავალდებულოდ მოიცავს:

- საბჭოს თავმჯდომარის არჩევას;
- საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევას;
- საბჭოს სამუშაო სტრუქტურის განსაზღვრას.
-

3. ახალგაზრდული საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება მერის უფლებამოსილების ვადით.